

საერთაშორისო კონფერენცია “გამოყენებითი ფიზიკის აქტუალური საკითხები”

2011 წლის 30 მარტს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ.77) ტარდება საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტის დაარსების დღისა და დამსახურებული მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსის რაფიელ ჩიქოვანის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “გამოყენებითი ფიზიკის აქტუალური საკითხები”.

კონფერენციის სამუშაო ენებია: ქართული, ინგლისური, რუსული
კონფერენციის მუშაობა წარიმართება შემდეგ მიმართულებებით:

1. გამოყენებითი ფიზიკა თანამედროვე მეცნიერების, მედიცინის, ტექნიკის, ტექნოლოგიის და წარმოების სხვადასხვა დარგში;
2. გამოყენებითი ფიზიკის სწავლების მეთოდოლოგია;
3. გამოყენებითი ფიზიკის ისტორიის საკითხები.

კონფერენციაზე მუშაობის ფორმები:

- მოხსენებით გამოსვლა;
- დაუსწრებელი მონაწილეობა;
- სასტენდო მოხსენებები.

კონფერენციის თეზისები გამოქვეყნდება.

დაგეგმილია კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების კრებულის გამოცემა.
რეგლამენტი – მოწვეული მოხსენება - 25 წუთი; მოხსენებები - 10 წუთი.

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებები და თეზისები გამოაგზავნეთ 2011 წლის 28 თებერვლამდე, ელექტრონული ფოსტით, მისამართზე: gtuphysics@gmail.com ლალი ჩახვაშვილი

მოხსენებათა თეზისებისა და მოხსენებათა სრული ტექსტების გაფორმების წესები:

თეზისებისათვის:

- მოცულობა – არაუმეტეს 1 გვერდისა (A-4) ;
- შრიფტი (ფონტი) — **Times New Roman, 12 pt** (ინგლისური და რუსული ენებისთვის), **AcadNusx 12 pt** (ქართული ენისთვის).

მოხსენებებისათვის:

- ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს 7 გვერდამდე, დაბეჭდილი A4 ფორმატის ქაღალდზე 1,5 ინტერვალით (მინდვრები 2 სმ) ნახაზების, გრაფიკების, ცხრილების და ლიტერატურის ჩათვლით;

- ქართული ტექსტისათვის გამოიყენეთ **AcadNusx** შრიფტი, ზომა 12;
- ინგლისური და რუსული ტექსტის შრიფტი – **Times New Roman**, ზომა 12;
- სტატიის თავი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - უაკ–ს (უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია)
 - ავტორის/ავტორების სახელს, მამის სახელს, გვარს;
 - ავტორის/ავტორების ელექტრონული ფოსტის მისამართს და საკონტაქტო ტელეფონს;
 - ორგანიზაციის სახელწოდებას, რომელსაც წარმოადგენს ავტორი;
 - საკვანძო სიტყვებს ტექსტის ენაზე.
- სტატიაში ქვესათაურებით გამოკვეთილი უნდა იყოს შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა;
- ნახაზების ან ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს TIFF ფორმატში გარჩევადობით 150 dpi;
- სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე გარდა ტექსტის ენისა, ინგლისურ ენაზე.

დამატებითი ინფორმაცია:

საკონტაქტო ტელეფონები: (+995 32) 363634; 877 411222 (აკაკი გიგინეიშვილი)
 (+995 32) 630574; 893 953047 (ლალი ჩახვაშვილი)
 (+995 32) 365317; 899 469550 (გელა გოდერძიშვილი)

E-mail: lalichakhvashvili@gmail.com ლალი ჩახვაშვილი